

საბაკალავრო პროგრამის შედეგები

საბაკალავრო პროგრამა მიესადაგება ბერგენის კონფერენციის მოთხოვნებს, რომლის თანახმად სწავლების პირველ საფეხურზე იღებს ისეთ ცოდნას, რომელიც საშუალებას მისცემს უმტკივნეულოდ შეარჩიონ სწავლის გაგრძელების სასურველი მიმართულება საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხურზე. შერჩეული დისციპლინები ვერ ამოწურავენ თანამედროვე გეოგრაფიის ყველა მიმართულებას, მაგრამ მიღებული ცოდნა ის საფუძველია, რომელიც კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს განსაზღვროს, თუ როგორ უნდა მოიპოვოს მისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია გეოგრაფიის ამა თუ იმ სფეროდან, მონაწილეობა მიიღოს ეკოლოგიური ხასიათის ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.

სასწავლო-საველე პრაქტიკები

ბაკალავრიატში ყოველწლიურად ტარდება ზაფხულის სასწავლო-საველე პრაქტიკები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ტარდება ასევე შორეული პრაქტიკებიც.

პროგრამის სასწავლო გეგმა

სპეციალობის სავალდებულო საგნები
დედამიწისმცოდნეობა
გეომორფოლოგია
მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია
კარტოგრაფია
ნიადაგმცოდნეობა
გეოინფორმატიკა
ჰიდროლოგია
მსოფლიოს ფიზიკური გეოგრაფია
საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია
ლანდშემცოდნეობა
ოკეანოლოგია
მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკ. გეოგრაფია
გეოგრაფიის კვლევის მეთოდები
ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგი
ნიადაგების გეოგრაფია
საქართველოს გეომორფოლოგია
სასწავლო-საველე პრაქტიკა

სპეციალობის არჩევითი საგნები
ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია
ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაცია
მიწის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზა
რეგიონული გეოგრაფია
მიკროპედიოლოგია
კავკასიის ბუნებრივი რესურსები
გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები
საქართველო მსოფლიოს ფონზე
გამოყენებითი გეოგრაფია
აეროკოსმოსური მეთოდები გეოგრაფიაში
თემატური და ატლასური კარტოგრაფია
საქართველოს სტიქიური პროცესები
გლაციოლოგია
გამოყენებითი გეომორფოლოგია
რუკათმცოდნეობა
კლიმატური რესურსები
წყლის რესურსები
ჰიდროსფეროს სტიქიური მოვლენები
ატმოსფეროს სტიქიური მოვლენები
რეგიონალური ოკეანოგრაფია
მოსახლეობის გეოგრაფია დემოგრაფიის საფუძვლებით



საკონტაქტო ინფორმაცია:

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახური ასოც. პროფ. **ლია მაჭავარიანი**
 ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, თსუ II კორპ.,
 ოთახი #221; ტელ.: 29 49 23;
 ელ-ფოსტა: lia.matchavariani@tsu.ge



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

<http://www.tsu.edu.ge/>

გთავაზობთ განახლებულ პროგრამას

**საბაკალავრო პროგრამა
 "გეობრაფია"**



თბილისი
 2010

პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა აგებულია TUNING–ის შესაბამისად TEMPUS–ის ერთობლივი ეროვნული პროექტის JEP ფარგლებში და ეფუძნება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემას (ECTS). იგი პასუხობს ბოლონის პრინციპებსა და განათლების ევროპული სტანდარტების მოთხოვნებს. სწავლის პროცესს წარმართავენ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები. თანამშრომელთა სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, საერთაშორისო კონტაქტები, განხორციელებული პროექტები სრულ შესაძლებლობას იძლევა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად.

პროგრამის დახასიათება

საბუნებისმეტყველო გეოგრაფიული განათლების მიზანია ბუნებრივი სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სივრცე–დროითი ასპექტებისა და სწრაფცვალებადი გარემოს შესწავლა. პროგრამის ამოცანას წარმოადგენს ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც მოახდენენ ბუნებაში მიმდინარე პროცესების სივრცედროით ანალიზს, შეძლებენ ბუნებრივი გარემოს კვლევას მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, რასაც, საფუძვლად უდევს რაციონალური ბუნებათსარგებლობა და მისგან გამომდინარე ბუნებრივი გარემოს სრულფასოვნება. მსოფლიო ფონზე ჩვენი ქვეყნის წყლისა თუ ნიადაგური რესურსების კვლევას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (WMO, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, UN, UNESCO) განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჰიდრომეტეოროლოგიური კუთხით სპეციალისტების მომზადებას, რადგან სტიქიურ მოვლენათა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამგვარ პროცესებს უკავშირდება. მნიშვნელოვანია გეომორფოლოგიის, გეოეკოლოგიის, კარტოგრაფიის, გეოინფორმატიკოსების მომზადება. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დიდად დამოკიდებული შავი ზღვის უნიკალურ რესურსებზე, სანაპირო ზოლის დაცვასა და განოყენებაზე, რასაც ხელს უწყობს ოკეანოლოგიური განხორციელების სპეციალისტების მომზადება.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 15 კვირას. აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს **240 ECTS** კრედიტი, რომელიც ნაწილდება შემდეგი სტრუქტურით:

160 ECTS – ძირითადი (major) სპეციალობის საგნები, მათ შორის **10 ECTS** – საუნივერსიტეტო სავალდებულო (უცხო ენა); **10 ECTS** – საფაკულტეტო სავალდებულო (კალკულუსი, კომპიუტერული ტექნოლოგიები); **20 ECTS** – საფაკულტეტო არჩევითი (შესავლები დარგებში); **90 ECTS** – სპეციალობის სავალდებულო; **30 ECTS** – სპეციალობის სავალდებულო–არჩევითი საგნები;

60 ECTS – დამატებითი (minor) სპეციალობის საგნები (სურვილისამებრ);

20 ECTS – თავისუფალი (არჩევითი) საგნები.

სპეციალობის არჩევითი საგნები წარმოდგენილია რამდენიმე დარგობრივი მიმართულებებით:

- ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია, ნიადაგმცოდნეობა;
- გეომორფოლოგია, კარტოგრაფია;
- რეგიონული გეოგრაფია;
- ჰიდროლოგია, მეტეოროლოგია, ოკეანოლოგია.

ძირითადი სპეციალობის არჩევა – II სემესტრიდან.

სწავლის გაგრძელების პერსპექტივა

საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს სწავლების პირველ საფეხურს, რომელიც ზოგად ცოდნას იძლევა ბუნებაში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებზე სივრცე–დროით ასპექტებში.

ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სტუდენტს საშუალება ექნება სამეცნიერო კუთხით ცოდნა გაიღრმავოს სწავლების მაღალ საფეხურებზე – სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე, ჩაერთოს კვლევით პროექტებში და სხვ.

დასაქმების პერსპექტივა

მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად გეოგრაფები შეიძლება დასაქმდნენ როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციებში, ისე სხვადასხვა დონის (ცენტრალურ, ადგილობრივ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში და არასამთავრობო სექტორებში (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, თავდაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების უწყებები, საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურები, მიწის მართვის სისტემა, ჰიდრომეტეოროლოგიური და ნაპირდაცვის სამსახურები, ამინდის პროგნოზისა და სხვადასხვა ტიპის მონიტორინგის სამსახურები, ტურისტული სააგენტოები, საერთაშორისო დარგობრივი საგრანტო პროექტები, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოები და კომპანიები, სატრანსპორტო ორგანიზაციები, საკონსულტაციო კომპანიები, მას–მედია, ასევე ყველა სხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურა, სადაც საჭიროა გეოინფორმაციული სისტემები და კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია).

მატერიალურ–ტექნიკური ბაზა

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება თსუ II კორპუსის აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ბიბლიოთეკები, გეოგრაფიის მიმართულებაზე მოქმედი სასწავლო ლაბორატორიები (ჰიდრომეტეოროლოგიის, ჰიდროტექნიკისა და ოკეანოლოგიის, ნიადაგების გეოგრაფიის ლაბორატორიები, მარტყოფის გეოგრაფიული სტაციონარი). ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი რესურსცენტრი სტუდენტებს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემს.

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას, საჭიროებისამებრ, გამოყენებული იქნება იმ სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულებების რესურსები, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი: ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, სატყეო ინსტიტუტი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, დაცულ ტერიტორიათა სააგენტო და სხვ.